საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე - მე-40 მუხლების შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, სამინისტროში წარმოდგენილი განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2026 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით შემოვიდა 19 (ცხრამეტი) განცხადება, რომელთაგანაც 10 (ათი) - დაკმაყოფილდა სრულად, 2 (ორი) - დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, 5 (ხუთი) - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80-ე მუხლის შესაბამისად, გადაიგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, 1 (ერთი) არ დაკმაყოფილდა, ხოლო 1 (ერთი) განცხადებასთან მიმართებით მიმდინარეობს საკითხის განხილვა.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (1862/1-VIმს-XIმპ; 010240010.05.001.103243, 16.09.2026) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეორგანიზებულ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო და საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს და საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებები გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გარდა სახელმწიფო რწმუნებულებსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობების კოორდინაციისა და ხელშეწყობის ფუნქციისა, რომელიც გადაეცა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას.

მარიამ კალმახელიძე - საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი